# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 198 კვირა, 6 სექტემბერი 1909 წ. № 198

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან სამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


სალომე სულხანის ასული, შვილნი მისნი ალექსანდრე. კონსტანტინე და არჩილ ნიკოლოზის ძენი ბაგრატიონ-დავითიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას,—პირველი—საყვარელ მეუღლის, ხოლო მეორენი—მამის

თავად ნიკოლოზ სოლომონის ძის

## ბაგრატიონ-დავითიშვილისას.

დაკრძალვა 8 ენკენისთვეს სოფელს აბანოში (გორის მაზრა).

(1—438—1)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**კვირას, 6 ენკენისთვეს, 1909 წ., № 1.**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ, ბ-ნ პ. ა. იმედაშვილისა და ი. ივანიძის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

## „ყ ა ჩ ა ღ ე ბ ი"

ტრაგედია 5 მოქმედებად, თარგმანი ნ. ავალიშვილისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ა. ქიქოძე; ბ-ნნი: ინაშვილი, ბადრიძე, ბაქრაძე, **იმედაშვილი, ივანიძე,** ზურაბიშვილი, ნარი, რომანიშვილი, რევაზოვი, შათირიშვილი, მეტრეველი და ჯაბაური.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს საღამოს, 17 ენკენისთვეს. მზადდება წარმოსადგენად: «ჭირვეული ცოლის მორჯულება», კომ 4 მოქ. შექსპირისა; «შემოსავლიანი ადგილი», ოსტროვსკისა და სხვ.

დაბეჯითებით ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ხვიჩელი.**

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა „ა ლ ი ო ნ ი"

(Тифлисъ, Кирочная, 9).

ა. ბოგდანოვის „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსის" შემდეგ მესამე წიგნათ (დაახლოვებით მომავალ წლის გაზაფხულზე) ხელის მოწერითვე გამოიცემა **ჩვენი ახალგაზრდა მწერლების საუკეთესო ლექსთა კრებული „გაზაფხული".** კრებულის პირველ ნაწილში შემდეგ ახალგაზრდა ავტორთა ლექსები დაიბეჭდება: **ბ. ახოსპირელი, ბაბ—ი, ბაჩანა, განდეგილი, კ. გოგოლაძე, ი. გრიშაშვილი, ი. ევდოშვილი, ნ. ზომლეთელი, დ. თომაშვილი, იასამანი, რ. ლეჩხუმელი, კ. მაყაშვილი, დუტუ მეგრელი, შ. მღვიმელი, დ. ნინოწმინდელი, კნ. ნ. ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, ვ. რუხაძე, სილოვან, ვ. ტუქსიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. შანშიაშვილი, ცახელი, დარ. ხუნდაძე და სხვ.** დაიბეჭდება 15-ზე არა ნაკლები ლექსი თვითეულ ავტორისა ამათი სურათებით. ავტორთა სურვილით კრებულში შეიძლება ჯერ დაუბეჭდავი ლექსი დაიბეჭდოს. კლიშეები და სურათები დამზადდება საზღვარ-გარეთ. გამომცემლობამ მიზნის შესაფერისად სცნო თვითეულ ავტორს მიანდოს თავის ლექსების რედაქცია. ამათვე გამომცემლობა დაწვრილებით ცნობებს ცალკე წერილებით შეატყობინებს. კრებულში შეიძლება დაიბეჭდოს ავტორთა ავტობიოგრაფია ან ბიოგრაფია, როგორც ამას საჭიროდ დაინახავს სარედაქციო კომისია. კომისიასავე მიენდობა კრებულის მეორე ნაწილის შედგენა. ამ ნაწილში დაიბეჭდება სხვა ახალგაზრდა ავტორთა ლექსები. კომისიის წევრების ვინაობას შემდეგ გამოვაცხადებთ.

„ა ლ ი ო ნ ი ს" გამგე **ვ. ბადილიძე.** (3—ნ.—1)

ახლად გახსნილი

**ტ ფ ი ლ ი ს ი ს**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**გ. დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ბ. ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

(წლ.—ნ.—150)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ოლგას ქუჩა, N 24. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—ბავშ. და შინაგ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—1)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის**

ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ხალ.—1)

**ექიმი** კბილისა **ს. ვაშაყმაძე**

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—1)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—55)

**ექიმი** ქ. ქუთაისში. **მ. დ. ბეთანოვი**

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—კვ.—12)

**ექიმი ვასილ წერეთელი**

**ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—6)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 152)

**ექიმი** კბილისა **ს. ა. ციიტლინი.**

კბილის და პირის ავადმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავადმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. N 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, N 3). შესავალი სემიონოვის ქ. (100—1010—14)

**ექიმი ბ. მაგაკიანი.**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—21)

**ექიმი კაკიტელაშვილი**

**ქუთაისში**

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—59)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა **იორდანე მ. გოცაძე**

**დაბა ყვირილაში**

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნასადილევს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—13)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელიშვილის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—242)

**ექიმი ლ. ნ. ოჰანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნისისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ხალ.—7)

**ექიმი ჩარექოვი**

ქ. ქუთაისში.

**სპეციალისტი.**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისით,** ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუთის ქუჩა, აბულაძის მესახვევი იოსელიანის სახლში. (25—დ.—3)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^1/_2$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**იაკ. ჩუდნოვსკი.**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნავიცკი**—ქალ., ყოველ დღე 1—2 საათ.

**აბგლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ ს.

**არღუთინსკი**—შინაგან ავად. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—88)

**ექიმი გ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

## შპალიერი

ძმ.

## ტარნოპოლების

**ფაბრიკის**

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ. 6)

## 14 სექტემბერს გამოვა

## კვირეული გაზეთი

# „ერი"

ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში გ. ავალიშვილთან.

გაზეთი წლის ბოლომდე ღირება 2 მან., თითო ნომერი 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: არაგვის ქუჩა, № 5.

რედაქტორ-გამომცემელი პ. სურგულაძე. (5—3)

**გ ა მ ო ვ ი დ ა**

## დუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი:

## ლექსები

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების" რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდად წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების" რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

**სამ აბაზად**

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: „**მოთხრობები**". (10—უ. 3)

შ[?]დგა ქართული ეროვნული

## ხორო

რომელიც კისრულობს ეკკლესიებში და მიცვალებულთა. დაკრძალვაზედ გალობას და კონცერტსა და წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებას.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ი. კარგარეთელს. (5—3)

**ქ. ქუთაისში.**

**თ. მთავრიშვილის წიგნის**

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი **„გუთანი"**, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%.

(25—ნ—23)

**„ტფილისის სობრანიე"**

კვირას, 6 სექტემბერს, 1909 წ.

## საოჯახო საღამო

## სინემატოგრაფი

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

სტუმრების შესვლა შეიძლება საზოგადო წესით. (1—439—1)

**ამირაძის ქალთა პროფესიონალურ სკოლასთან იხსნება**

## საღამოს კურსები

ჭრისა, კერვისა და ხელოვნ. ხელ-საქმისა მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 11 სექტემბერს, სამშაბათობით და პარასკეობით საღ. 5-დან 7 ს—თამდე.

**თვეში სამი მანეთი**

იქვე შეიძლება ტანისამოსის შეკვეთა **მეტად ხელმისაწვდენ ფასად.**

ნიკოლოზის ქ. N 50 (2—442—1)

## სოფ. ჭაგანში

ტფილისის სამეურნეო ბანკი ჰყიდის სახლს, რომელიც ეკუთვნოდა ბ-ნთ ქაჯაიების სამეურნეო საზოგადოებას და ბანკს ვალში დარჩა.

ადრესი: Тифлисъ, Сельскохозяйственный Банкъ. (2—ნ.—1)

!! საზოგადოების საყურადღებოდ !!

**გაიხსნა** განყოფილება „კორბოზის" ყოფილ ოსტატის გასტრონომიულ და საკალმასო მაღაზიისა. სანოვაგე ახალ-ახალი, საკუთარ საკალმასო ქარხნიდან.

**ფასები ზომიერია.** მიღებულია **ჟიტომირის საუკეთესო ვირინა.** მცირედ დამარილებული.

თავ. ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, მიხეილის ქ. № 6., ს. მამიკონოვისა. (ჰ—ხალ.—3)

**იყიდება ყველგან ახალი**

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: **„ადვოკატთან", „ტაიჩი სოვეტნიკის სიზმარი" და „უბედური დღე". წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35** კაპ.—**უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—9)

**ონამძღვარ-კარის სასოფლო მეურნეობის სასწავლებელში**

თხუთმეტ ამა სექტემბრიდან დაიწყება გამოცდა იმ ყმაწვილთა, რომელთაც სურთ შესვლა პირველ სპეციალურ ანუ მოსამზადებელ კლასში. გამოცდის დროს მოსწავლეთ უნდა ჰქონდეთ ცოდნა სამოქალაქო ანუ სასოფლო მეორე კლასის სასწავლებლის პირველ სპეციალურ კლასში მისაღებად. მოსამზადებელ კლასისთვის მოსწავლე უნდა იყოს 13-15 წლისა და სწავლა უნდა ჰქონდეს სამოქალაქო მესამე განყოფილების სასწავლებლისა, ანუ დასაწყისის სასოფლო ერთ კლასიან სკოლისა. (3—1)

## სამშაბათს, 8 სექტემბერს მოზრდილ ქალთა კურსების სასარგებლოდ

„მუზას" პალსა და კინემატოგრაფში გაიმართება **ორიგინალური სეირნობა** კინემატოგრაფით ბავშვებისა და მოზრდილებისათვის საინტერესო პროგრამით

აფრენენ ჰაერში და ჩამოუშვებენ გრაფ ცეპელინის გემს (7 არშინი სიგრძე აქვს), ა. ა. იარემენკოს განმარტებით. მერინაგო ფოსტა მრავალი საჩუქრებით. ანკესი. მე-20 საუკუნის აფთიაქი და სხ. საუცხოო ორკესტრი საზაზონო თეატრისა გ. ფალიაშვილის ლოტბარობით. შენობაში შესვლის ფასი შუადღიდან შუაღამემდის უკინემატოგრაფოდ: ბავშვები, მოსწავლეები (დამის 10 საათამდის), სალდათები (9 საათამდის)—8 კაპ. მოზრდილები—15 კაპ. კინემატოგრაფის ფასი ჩვეულებრივია. დაწვრილებითი ცნობები აფიშებში. (1—ნ.—1)

**ნაფიცი ვექილი**

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

**ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში**

(ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო **„ლონდონის"** ახლოს). (25—ნ.—2)

გამოვიდა და ტფილისის საცენზურო კომიტეტში იყიდება:

**სია ნება-დართულ პიესებისა ქართულ, სომხურ და თათრულ ენაზე.**

შედგენილი ივ. პოლუმორდვინოვის მიერ, ფასი ათი შაური. ფულის მაგიერ შეიძლება საფოსტო მარკები გამოიგზავნოს. (5—1)

## ტფილისი, 6 სექტემბერი

გუშინ გავაცანით მკითხველთ სახ. სათათბიროს მომავალ სესსიის პროგრამა, რომელიც შეუმუშავებია დღევანდელ საპარლამენტო უმრავლესობას. ჩვენ დავინახეთ, რომ ამ პროგრამაში ადგილი არა აქვს უმთავრეს პოლიტიკურ საკითხებს,—იმ ძირითად რეფორმებს, რომელთაც კავშირი აქვთ 17 ოქტომბრის მანიფესტთან და რომელთა განუხორციელებლად შეუძლებელი ხდება რუსეთის პოლიტიკურ წესწყობილების განახლება. მაგრამ, მარტო ეს დიდი ნაკლი როდი აქვს ოქტომბრისტების მიერ შემუშავებულს გეგმას.

მოსალოდნელი იყო, რომ პარლამენტის ხელმძღვანელი პარტია თუ ზევიდან ვერ ახერხებს რეფორმების დაწყებას, თუ ვერ ჰბედავს სახელმწიფო წესწყობილების განახლების დაწყებას, ქვევიდან მაინც შეუდგება საქმეს, ე. ი., დაიწყებს ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრების მოწესრიგებას. ეს ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრება საფუძველია იმ მომავალ ახალ პოლიტიკურ შენობისა, რომელიც მტკიცედ ვერ დამყარდება, თუ ადგილობრივი მმართველობა და თვითმართველობა არ იქნება ჩაყენებული ნორმალურ კალაპოტში. ეს საჭიროება კარგად ესმის ოქტომბრისტთა პარტიასაც, რომელსაც არა ერთხელ განუცხადებია, რომ უპირატესობა რეფორმების საქმეში ადგილობრივ თვითმართველობას უნდა ეკუთვნოდესო. სულ რამდენიმე თვის წინად ამ პარტიის ლიდერებმა ლონდონის საზოგადოებას გაუზიარეს თავისი განზრახვა—უახლოესი ჩვენი საწადელიაო—განვაახლოთ და, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, გავადემოკრატოთ რუსეთის ადგილობრივი თვითმართველობა, რადგან უამისოდ შეუძლებელი იქნება ჩვენი საკონსტიტუციო რეჟიმის დამკვიდრება და განვითარებაო. გადემოკრატების რა მოგახსენოთ, მაგრამ ადგილობრივ თვითმართველობის გაფართოვება და ცოტაოდენი განთავისუფლება ადმინისტრაციის სულთამხუთავ აპეკისაგან სათათბიროს რომ შეუძლია, ეს ცხადია. მაგრამ, გადის წლები და „ხელმძღვანელი ცენტრი" არც ამ დაპირების ასრულებას ჰფიქრობს.

ჩვენ გუშინ აღვნიშნეთ ის კანონპროექტები, რომელთაც ცენტრი უდგენს მომავალ სესსიას, და დავინახეთ, რომ ისინი იმდენად ვრცელნი არიან, რომ შემოდგომა-ზამთრის სესსიას სულ დაიჭერენ. თუ გავიხსენებთ, რომ გაზაფხულის სესსიამ თითქმის მთელი დრო ბიუჯეტის განხილვას უნდა მოანდომოს, დავრწმუნდებით: მომავალი საპარლამენტო წელიწადიც გავა და სათათბირო ადგილობრივ მმართველობისა და თვითმმართველობის პროექტებს არ განიხილავს... მაშასადამე ცხადია, რომ „ხელმძღვანელს პარტიას" საკუთარი გეგმა საკანონმდებლო მუშაობისა არა აქვს. იგი ისევ „მთავრობის უკანასკნელ განკარგულების" პარტია არის და მოთმინებით მოელის მთავრობის ინიციატივას ამ საქმეშიაც, როგორც სახელმწიფოს წესწყობილების განახლების საქმეშიაც; ცხადია, რომ მისი ლიდერები რუსეთშიაც და საზღვარ - გარედაც თვალთმაქცობდნენ, როცა დიდის ამბით ჰპირდე-

ბოდნენ—დაუყონებლივ შევუდგებით ადგილობრივ თვით-მმართველობის რეფორმასაო, რათა ამით მომავალი სახელმწიფო მთავარი რეფორმების განხორციელება გავიადვილოთო და უკანა პოზიციები ბიუროკრატიასთან საბრძოლველად გავიმაგროთო. ნამდვილად-კი სულ სხვა სურათს ვხედავთ: პარტია, რომელსაც ბედმა არგუნა სათათბიროს მოღვაწეობის თავის სურვილზე წარმართვისა, თავის ინიციატივის გამოჩენას ვერ ჰბედავს და მორჩილად მიჰყვება მთავრობას ისეთ, შედარებით ადვილ, საქმეშიაც-კი, როგორიც არის რეფორმა ადგილობრივ თვით-მართველობისა.

ხოლო მთავრობის ინიციატივა და და განზრახვები რაც არის ამ საქმეში, ხომ კარგად ვიცით. საერობო რეფორმის სქემა უკვე აღიბეჭდა „ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა საბჭოს" მუშაობაში და წარმოადგენს სულ უმნიშვნელო შეკეთებას 1890 წლის დებულებისას; რაც შეეხება საქალაქო თვით-მმართველობის რეფორმას, გაზეთების უკანასკნელის ცნობით განზრახულია შემდეგი: ბინის დამქირავებელთ მიეცემათ საარჩევნო უფლებებიო და გაძლიერებულ იქნება მთავრობის კანტროლი საქალაქო თვით-მმართველობის მოღვაწეობაზეო. გაძლიერება კანტროლისა და აპეკისა! აი ის გაუმჯობესება ადგილობრივ თვით-მმართველობისა, რომელსაც გვპირდება გაუმაძღარი ბიუროკრატია და აი რის შემუშავების მოლოდინსა და ცდაშია საპარლამენტო უმრავლესობა!..

რასაკვირველია ცხადია, რომ ოქტომბრისტების ფრაქციასა და პარტიას, რომელმაც იკისრა რუსეთის განახლება, არავითარი სისტემა, არავითარი გეგმა და პროგრამა არა აქვს. იგი მუშაობს და აკეთებს იმას, რასაც ზევიდან უბრძანებენ და ამიტომ, თუ გვინდა გავიგოთ, როგორი იქნება პარლამენტის მომავალი სესსია, მთავრობის გეგმებს და სიტყვებს უნდა მივაქციოთ ყურადღება და არა იმ პარტიისას, რომელმაც საუკუნოდ და სამართლიანად დაიმსახურა ზედ-გამოჭრილი სახელი „მთავრობის უკანასკნელ განკარგულების" პარტიისა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 სექტემბერი

### სპარსეთი

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. დილლონის შეკითხვაზე, მართალია თუ არა, ის ხმა, რომ რუსები კაზვინში ჯარისთვის საზამთრო ყაზარმებს აგებენო, გრეიმ განაცხადა: იმას, რაც წინად ამის შესახებ ვთქვი, ვერაფერს დავუმატებ. იმედი მაქვს, რომ სპარსეთის მდგომარეობა თან და თან გამოკეთდება, მაგრამ სანამ სპარსეთში სრული მშვიდობიანობა არ დამყარებულა, გადაჭრით ვერ ვიტყვი, დარჩება რუსის ჯარი სპარსეთში თუ არა. სპარსეთში მომხდარი უკანასკნელი ამბები, დილონის აზრითაც კი, საბუთს გვაძლევენ ვენდოთ რუსების განცხადებებს თავიანთ პოლიტიკის შესახებ.

**თეირანი.** ყარადაღის გუბერნატორად დაინიშნა თავრიზის გუბერნატორად ნამყოფი იჯალულ-მულკი. გენერალ გუბერნატორმა იჯალულ-მულკს უბრძანა ბაგირ-ხანის ფიდაები თან გაიყოლე და სათარ-ხანის საშველად გაემართეო. სათარ-ხანი რახიმ-ხანთან საბრძოლველად არის გაგზავნილი. სათარ-ხანი 200 ცხენოსანით სარამში სდგას. ცნობა მოვიდა რახიმ-ხანი დამბლად ჩავარდაო. გენერალ გუბერნატორ მუხბირუს-სალთანეს მდგომარეობა გამოკეთდა. მან თეირანიდან ასი ათასი მანეთი მიიღო, დაპირებულები არიან კიდევ ორასი ათას მანეთს. როდესაც ამ ფულს გაგზავნიან, თან გააყოლებენ ორას სპარსელ ყაზახს და რამდენიმე ას ცხენოსანს. ურმიასა და თეირანს შუა ტელეგრაფი გაფუჭებულია.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა, ნება დართოს ოსმალეთში გასასყიდად შემოიტანონ პურის, ქერხლის და კარტოფილის სპირტი მხოლოდ იმ პირობით კი, რომ სპირტში ისეთი არაფერი არ ერიოს, რაც ჯანმრთელობას ავნებს. ეს დადგენილება გამოიწვია სახელმწიფო საბჭოს მიერ განმარტებამ, რომ ახალი კანონი სპირტის ვაჭრობის აღკრძალვის შესახებ ეხება მხოლოდ იმ სპირტს, რომელიც ჯანმრთელობას ვნებსო.

### საზღვარ-გარედ

**კაპშტადტი.** ტყუილია ის ამბავი, ვითომც გემ „უმლის" ჩაძირვის დროს 11 კაცი დაღუპულიყოს. ოფიციალურის ცნობით დამხრჩალა მხოლოდ ერთი ბავშვი.

**რეჯიო-დე-კალაბრია.** რიაჩიეში მაშხალების საიდუმლო ქარხანაში აფეთქება მოხდა. დაინგრა სამი სახლი, მოკვდა 13, დაიჭრა 2 კაცი.

**მაინის-ფრანკფურტი.** ცეპელინი თავის ჰაეროპლანით „ცეპელინ მესამე"-თი დიდი ხნით გაფრინდა. ამას გარდა განზრახულია სამხედრო მიზნით რამდენჯერმე გაფრინდნენ. ფრენაში მონაწილეობას მიიღებს ჯარის მერვე კორპუსის უფროსი გენერალი ეიხგორნი.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. დილონის შეკითხვაზე, მთავრობა აპირობს პროტესტი განუცხადოს რუსეთს, პოლიტიკურ ტუსაღების ცუდად მოქცევისა გამო, თუ არაო, გრეიმ, სხვათა შორის, სთქვა: არ შემიძლიან პასუხი გაგცეთ ისეთ შეკითხვებზე, რომლებშიაც ევროპის სახელმწიფოების შინაურ საქმეებს ეხებითო. ამისთანა შემთხვევებში თქვენი შეკითხვები სახელმწიფოთა შორის რომელიმე შეთანხმებაზე უნდა იყოს დაფუძნებულიო. ამის შემდეგ დილონმა გრეის ჰკითხა: რა მიზეზია, რომ ინგლისი მაროკოს შინაურ საქმეებში ერევა და რუსეთისაში კი არაო. გრეიმ უპასუხა: აქ შედარება არ შეიძლება. უარსვყოფ, რომ ისეთი ამბები, როგორიც მაროკოში ხდება, ევროპის რომელიმე სახელმწიფოში ხდებოდესო. გრეიმ ასეთივე პასუხი გასცა პალატას იმ შეკითხვაზე, რომლითაც პალატა თხოულობდა ესპანიის მთავრობას ბარსელონში მომხდარ ამბების შესახებ პროტესტი განუცხადეთო. ზემოდ მოყვანილ პასუხს გრეიმ შემდეგი დაუმატა: მე რომ ყველა ამისთანა შეკითხვებზე პასუხი გაგცეთ, მოკლე ხანში ყველა სახელმწიფოებს გადავიკიდებთო.

**სენტ-ჯონსი.** რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა პირის. პირი სწუხს, რატომ თან არ გავიყოლე პარალეტაო. პირიმ სთქვა: ვფიქრობდი, ჩემი თანამგზავრების დღიურები დაამტკიცებდნენ, რომ მე 88 გრადუსის იქით გადავედი. ამას გარდა დარწმუნებული ვიყავი, რომ ესკიმოსის და მავკანიან მოსამსახურის მოწმობა საკმარისი იქნებოდა, დამემტკიცებინა, ჩრდილოეთ პოლიუსს მივახწიე მეთქი. კუკი ვერას გზით ვერ დაამტკიცებს, რომ მან ჩრდილოეთ პოლიუსს მიახწია. კუკმა გამომიგზავნა თავის მოგზაურობის მცირე აღწერა. ამ აღწერიდან სჩანს, რომ კუკს პოლიარულ ყინულებზე ესკიმოსთან ერთად ორი დღე უმოგზაურნია და შემდეგ დაბრუნებულა. ეჭვი მეპარება იმის შესახებ, რომ კუკი მთა მაკკინლეიზე ასულიყოსო.

**ბრაჩჩიანო.** გუშინ, 4 სექტემბერს, გაფრინდა სამხედრო ჰაეროპლანი. ჰაეროპლანმა ხუთი საათი იფრინა და ამ ხნის განმავლობაში გაფრინდა 232 კილომეტრი.

**მაინის-ფრანკფურტი.** დილით ალლუმებზე მოფრინდა ჰაეროპლანი „ცეპელინ მესამე". მიწაზე ჩამოშვების დროს ჰაეროპლანი დაშავდა. საღამოთი „ცეპელინ მესამე" ფრანკფურტისაკენ გაფრინდა.

**ბერლინი.** გაფრინდა ორველ რაიტი. რაიტმა 55 წუთი იფრინა. ფრენას დაესწრნენ დედოფალი და პრინცესი. რაიტი ისე მაღლა ავიდა, რომ ჯერ ვერავინ ასულა ამ სიმაღლეზე.

**ვენა.** ქვემო-ავსტრიის სეიმმა ერთხმად დაადგინა შეეკითხოს მთავრობას, რატომ აქამდის უმაღლესად არ დამტკიცდა სეიმის ის დადგენილება, რომლითაც ქვემო-ავსტრიის სკოლებში სწავლება ნემეცურ ენაზე უნდა სწარმოებდეს. კენჭის ყრას არ დაესწრნენ სოციალ-დემოკრატები. კამათის დროს მათ განაცხადეს, ამ კანონის განხორციელება გერმანელებისთვისაც საზარალო იქნებაო. თუ გერმანელების პროვინციებში ჩეხელებს დავჩაგრავთ, ჩეხელები თავიანთ პროვინციებში გერმანელებს დასჩაგრავენო. პრესსა აღნიშნავს, გერმანელ პარტიების ერთსულოვნება ეროვნულ ბრძოლას გააძლიერებსო.

### რუსეთი

**ოდესა.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წიგნის მაღაზიასთან ყუმბარა იპოვეს. პოლიციამ ყუმბარა აეფეთქა.

**კიევი.** პოლიციამ სოფელ დემიევკაში აღმოაჩინა ყალბი ფულის ქარხანა. წაიღეს ვერცხლის და ოქროს ფული და სხვა და სხვა იარაღი. დააპატიმრეს ხუთი ებრაელი.

**ნოვოჩერკასკი.** რკინის გზის ინჟენერ ბულიგინის სამუშაო კაბინეტში უცნობებს ყუმბარა დაედოთ. ანთებულ ფითილის სუნმა ბულიგინის ყურადღება მიიქცია. ხელად მიიღეს ზომები, რომ ყუმბარა არ აფეთქებულიყო. ბოროტ-განზრახველები ვერ აღმოაჩინეს.

**ხარკოვი.** უნივერსიტეტის რექტორად ხელმეორედ აირჩიეს პროფესორი ბაგალეი.

**მოსკოვი.** ჩამოვიდა კოზლოვი. კოზლოვი ცენტრალურ აზიაში მოგზაურობს.

**ვერხნედნეპროვსკი.** სასამართლომ გაარჩია 100 გლეხის საქმე. ამათ ბრალდებოდათ 1905 წელს მემამულე ზაიდაკის სახლის გადაწვა. სასამართლომ გადაუწყვიტა: 20 ორ-ორი წლით ტუსაღთა განყოფილება, 79 სხვა და სხვა ვადებით ტუსაღი, ერთი გაამართლეს. ამას გარდა გლეხებები ვალდებულნი არიან ზაიდაკის სასარგებლოდ 74,000 მანეთი გადაიხადონ.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 26, გარდაიცვალა 17, ავად არის 333 კაცი.

**ვ ტებსკი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში ავად გახდა 27, გარდაიცვალა 24 კაცი.

## ორიოდე სიტყვა

### ტფ. პირველ-დაწყებით სკოლებზე.

28 აგვისტოს მოხდა ბავშვების მიღება კუკიის პირველ-დაწყებით სკოლაში, რომელიც იმყოფება ქალაქის მცირე ნაწილში. ჯერ ისევ 20 აგვისტოსვე დაიწყო თხოვნების დენა. 28-ში კი გეგონებოდათ, აქ პირველ დაწყებითი სკოლა კი არა, გიმნაზიააო, იმდენი ხალხი შეიკრიბა, ადგილი კი მხოლოდ 45 ბავშვისთვის იყო. დანარჩენი, ესე იგი 150 ბავშვზე მეტი, ისე დარჩა; მათ მიღებაზე უარი გამოეცხადათ.

უნდა გენახათ, საცოდავი მშობლები რა გულ-გატეხილნი და უიმედონი ბრუნდებოდნენ სახლში. ბევრი მათგანი მწარედ ტიროდა, შესჩიოდა თავის უსახსრობას და გაჭირებას, მასწავლებელს ემუდარებოდა, როგორმე მიეღო, რომ ბავშვი ქუჩაში არ დარჩენილიყო. სჩანს ხალხმა გამოიღვიძა, ძლიერ აღიძრა მასში სწავლის შეძენის სურვილი. მაგრამ მასწავლებლებს რა უნდა ეშველათ, შეუძლებელს ხომ ვერ შეიძლებდნენ.

ქალაქ ტფილისის მეცხრე და მერვე ნაწილში მხოლოდ ერთი პირველ-დაწყებითი სკოლაა ქალაქის ხარჯზე, ამ ნაწილებში კი ყველაზე ბლომადა სცხოვრობს ქართველი საწყალი ხალხი, რომელიც დღიურს ლუკმას ძლივსა შოულობს. აბა სად იპოვებათ ამ ქართველებს იმდენი შეძლება, რომ გადაიხადონ სწავლის ფული და გაზარდონ შვილები ფასიან სკოლებში?! ქართველებით არის დასახლებული: ჩუღურეთი, კუკია, ნადიროვის და დოლიძანოვის მამული და წმ. ნინოს სასაფლაოს მიდამოები. აღარაფერს ვიტყვით ქართველებით დასახლებულ ღარიბ ნაძალადევზე, რადგან იქ სკოლა არის. მაგრამ აქ კი, ეს ერთად-ერთი სკოლა არ აკმაყოფილებს ორ ნაწილს ქალაქისას. აქ უნდა იყოს ორი და სამი სკოლა.

როგორც ვიცით, ქალაქის თვით-მმართველობას სკოლების რეორგანიზაციის დროს დაუდგენია: გახსნას სკოლები ყველა ეროვნებისთვის თანასწორად. მერე სავსებით აასრულა თვით-მმართველობამ ეს დადგენილება? არა და არა. გახსნეს რუსის სკოლა—10, სომხისა—10 და ქართველისა—9. საკვირველია, ყველაში ჩამორჩენილი უნდა ქართველი იყოს. ნეტა გაგვაგებინა რადა? ნუ თუ მსურველი ცოტა იყო, ან იქნება თავის დროზე არ მოითხოვეს?! არ ვიცი, ვერ გამიგია მიზეზი.

ჩვენის აზრით-კი ტფილისში ქართული სკოლა უნდა სჭარბობდეს რუსულსაც და სომხურსაც და აი რად: ღარიბი ხალხი, ისეთი რომელიც პირველ დაწყებით სკოლაში აძლევს შვილებს, ქართველი ბევრად სჭარბობს სომეხსაც და რუსსაც. მართალია, ტფილისში სომხობა საზოგადოდ მეტია, ვიდრე ქართველობა, მაგრამ სამი მეოთხედი ამ სომხებისა შეძლებული ხალხია და თავის შვილებს საშუალო სკოლაში აძლევს. აგრეთვე რუსობა—ნახევარი მაინც მოხელენი არიან. ქართველთა სამი-მეოთხედი-კი ღარიბი მუშა ხალხია და სწორედ ამათთვის არის საჭირო პირველ-დაწყებითი სკოლები. ჩვენი აზრის სიმართლეს ამტკიცებს ისიც, რომ პირველ-დაწყებით სკოლებში შესვლის მსურველი ქართველი ყოველ წელიწადს ერთი სამად და ოთხად სჭარბობს სომეხსა და რუსს.

იქნება ქალაქს ფული არა აქვს, მაგრამ რადა ქართველი გახდა მეცამეტე გოჯი, რადა მისთვის გაღარიბდა ქალაქი! თუ სურვილი არა ჰქონდეს საცოდავ ხალხს, რად დაალამებს დღეს სკოლის კარებზე, რად ემუდარება მასწავლებლებს?! სასურველია, ეხლა მაინც გახსნას ქალაქმა მეათე დანაპირი სკოლა ორ ზემოდ მოხსენებულ ნაწილში და მით ხელი შეუწყოს ქუჩაში დარჩენილ ბავშვების აღზრდას... **დამსწრე.**

## პატარა არაბესკები

### 3.

**მხიარული ფილოსოფია.**

ყველაფერი საუკეთესოდ არის მოწყობილი ამ საუკეთესო ქვეყანაში. განსაკუთრებით ჩვენ, ქართველებს, არა გვაქვს არავითარი მიზეზი ჩვენ ბედს ვემდუროდეთ. დავასაბუთოთ ეს აზრი.

ამ შფოთიანსა და სახიფათო დროში ყველაზე ლაღად და უზრუნველად უეჭველია ის ჰგრძნობს თავს, ვისაც საიმედო და კეთილის-მყოფელი მეზობლები ჰყავს. ჰოდა, ამ მხრივ ჩვენი ბედი და მდგომარეობა პირდაპირ სანატრელია: ჩვენზე შორსაა ლიპიანი გერმანელი, ქარაფშუტა ფრანგი და მოუსვენარი ინგლისელი; ჩვენ გარს დინჯი და დარბაისელი მეზობლები გვარტყია:

მარჯვნივ ფაშა, მარცხნივ ფაშა,
უკან რუსის ზარბაზანი...

მოვიყვანოთ შეურყეველი საბუთები ჩვენის მეზობლების უაღრესობის დასამტკიცებლად. მაგალითად, ცნობილია, რომ თვითეულს ფაშას მთელი ჰარამხანა ცოლებითა ჰყავს სავსე, მაშინ როდესაც გერმანელი პროფესორი, ფრანგი ინტელიგენტი ან ინგლისელი კაპიტალისტი ერთს ცოლს ძლივს უძლებს: აქედან ცხადად სჩანს, რომ ერთი ფაშის სულიერი და ხორციელი ენერგია, სულ რომ ცოტა ვთქვათ, ათი ევროპიე-

# „ღმერთო, ამაზე უარესი საშინელება იქნება!?"

I

დილის მზემ მხიარული სხივები სტყორცნა კავკასიონის ქედს და გაჰფანტა მწვერვალებზე მობურვილი განთიადის ნისლის ნაზი ლეჩაქი. გაშუქებულმა მდევმა მყინვარმა თითქოს სალამით გადმოსცინა დაბლა მიდამოს, რომელიც ახლა იშმუშნებოდა, იღვიძებდა და, ათასფერ ყვავილებით ამოქარგული, სიცილ-კასკასით ეგებებოდა მადლიან მზის ამონათებას.

დიაღ, ყველაფერი ხარობდა ირგვლივ ამ დილას: აბიბინებული მდელვარე ყანები, შრიალა ტყე, მინდვრებში საბალახოდ გაშლილი ნახირი, ცის სივრცეში მონავარდე ტოროლა, ასე გასინჯეთ, ჭია-ღუაცკი ცოცხლად და მარდად ფუსფუსებდა ამწვანებულ დედამიწის გულზე. დინჯი, აუჩქარებელი მტკვარიც ხალისიანად მიაქანებდა ზედ მოპნეულ ტივებს თავიანთ პატრონებით, რომელთაც პირი მზისაკენ მიეშვირათ და მძლავრად უსვამდნენ გრძელ ნიჩბებს.

იმედი, სიცოცხლე და სიხარული გადმოსჩქეფდა ირგვლივ ბუნებაში და ჩემი გაყინული, დაღვრემილი გულიც გაივსო ბედნიერების სურვილით; გამითბა, გავხალისდი და მომინდა საერთო სასიხარულო ჰიმნს შევერთებოდი, ჩავბმოდი ბუნების ფერხულს: მეცინა, მემღერა, მეთამაშა...

ხუთი წელიწადია, არ მენახა აქაურობა... ხუთი წელიწადი უცხოეთში ყოფნა... და ახლა კი ორიოდე საათის შემდეგ შინ ვიქნები, შინ, ჩემ სოფელში... ჩემ ჩეროსუბანში... ვნახავ ყველას და ყველაფერს... ჩვენ ფეფენას, კუზიან ფარნას, თამარ მეფის დროს აშენებულ ჩვენ საყდარს... ჩვენ დანგრეულ კოშკს, შიგნით რომ დიდი თუთის ამოსული ხეა. ოჰ, რამდენჯერ ავსულვარ ამ თუთაზე... მეტის სიამოვნებით გავილიძე და მგონია თანაგრძნობისათვის მიმოვიხედე... მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა დავინახე: ირგვლივ ლაყლაყა ეტლში, რომელსაც ძლივს მიაჯაგჯაგებდა სამი თუ ოთხი ძვალ-ტყავა ცხენი, იჯდა რამდენიმე გლეხი და ერთი მოხუცებული დედაკაცი.

დედაკაცი რაღაცას მოთქმით მოუთხრობდა პირდაპირ მჯდომ მოხუც გრძელ-წვერა ჩიბუხიან გლეხს და მალი-მალ ოხვრითა და ვიშით იხედებოდა კუთხეში გარინდებულ, ცხვირ-პირ დაჩეჩქვილ და დალურჯებულ ახალ-გაზრდა გლეხისაკენ, რომელსაც ცალი თვალი აეხვია, ხოლო თავზე დასველებული წითელი თავსაფარი ჰქონდა გადმოხურული. ამ თავსაფარს დრო და დრო ხვნეშით იხდიდა, იწმენდდა სახეს, მერე ისევ შლიდა და იფარებდა თავზე. დანარჩენი სამი ფარაჯიანი გლეხი თავის ქნევით უსმენდა დედაკაცს და მხოლოდ ხანდახან ჩაურთავდა თითო-ოროლა თანაგრძნობის კითხვას და თანაგრძნობითვე იხედებოდა ახალგაზრდისაკენ. გლეხები ლაპარაკობდნენ რაღაც ჩაწყვეტილის ხმით, ყრუდ და სევდიანად.

გული შემეკუმშა, ისე არ ესაბამებოდა იმათი დაღვრემილი, უბედური გამომეტყველება ამ ბრწყინვალე, ბედნიერ დილას და ჩემ სულიერ კვეთებას. ერთ წუთს მომინდა თვალი და გული ამერიდებინა მწუხარებისათვის; საჩქაროდ გავიხედე მყინვარისაკენ და გულში მახლობლების შეხვედრის სიამოვნება გამოვიწვიე. მაგრამ ყურები უნებურად ისმენდნენ იმათ ლაპარაკს, იმათ მწუხარებით სავსე სიტყვებს, რომელიც ნემსებივით ესობოდა და სევდით სერავდა ჩემ გულს. სხვა-და-სხვა ჰანგზე და შეუწყვეტლივ ისმოდა: „მამასახლისი, ბოქაული, სტრაჟნიკი, ზეკუცია, მაზრის უფროსი, ცემა, დატუსაღება" და სხვა...

მე გამაცვიფრა ხშირად ნახსენებმა გვარმა „მარდიანიძემ". ყველანი ერთხმად ლანძღავდნენ და აგინებდნენ მარდიანიძეს და უცებ მომაგონდა, რომ აქაური მაზრის უფროსი თავადი მარდიანიძე იყო. მომაგონდა ისიც, რომ ჩემ დროს გიმნაზიაში სწავლობდა ერთი მარდიანიძე, რომელმაც შემდეგ ჩემი საუკეთესო მეგობარი და ამხანაგი ქალი შეირთო. „ნუ თუ ის არის?"—გავიფიქრე გულში და ის იყო უნდა მეკითხა გლეხისთვის, რომ ჰაერში გაისმა ბავშვის წკრიალა საამური ხმა:

— მეეტლევ, მეეტლევ, დაიცადე, დაიცადე, დამსვი, თუ ძმა ხარ... შინ მივდივარ!—იძახოდა და ხელების ქნევით და ხტუნაობით მორბოდა მინდორში თეთრ ხალათში გამოწყობილი ათი-თერთმეტი წლის გიმნაზიელი, ამ დილასავით მხიარული და მშვენიერი.

გაჩერდა თუ არა ეტლი, ბავშვი მკვირცხლად შემოხტა საფეხურზე და ჩამოხტა შიგ.

— ისე შორიდან დავინახე ეტლი... მეგონა, ვერ მოვასწრებდი... ოჰ, რა ძალიან მოვრბოდი, დიდედო, რომ იცოდე?—მიუბრუნდა დედაკაცს,—და, აი, დავეწიე... მამიდასთან ვიყავი... სულ ამ ყვავილების ბრალია, ვკრეფდი გზაში და კინაღამ არ დამიგვიანდა. გაისწორა მხარზე გადაგდებული საყვავილე ყუთი და დაიხურა თავი.

— აი, ყოჩაღ, შვილო! აქ დაჯექი,—მიუგო დედაკაცმა და მიიწია.

— აჰ, დიდედო, რომ იცოდე, რა დრო გავატარე მამიდასთან... რამდენი ვირბინე, რამდენი ბარტყები ვნახე... ერთი ქორის ბუდესაც კი მივაგნე, მაგრამ არც ერთი ბარტყი არ ამომიყვანია: არ მიყვარს ჩიტების წვალება, იცი...

— აი, შენ-კი გაიხარე, შვილო; ზოგიერთი ადამიანსაც არა ზოგავს და შენ ჩიტებიც-კი გებრალება.

— უუჰ, ძია, რა ჩიბუხი გქონია,—შეჰყვირა ბავშვმა, გამოართვა გლეხს ჩიბუხი, შეატრიალ-შემოატრიალა და დაუბრუნა.

— ძალიან ჩიბუხია, ძალიანი; ერთ ჩემ ნაცნობსაც აქვს, მაგრამ ასეთი წითელი არ არის...

— შვილმა მომიტანა ქუთაისიდან,—სთქვა გლეხმა სიამოვნებით და გააბოლა.

ბავშვს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ეტლი მოტრიალდა. ჩვენ ვერც კი მოვასწარით გავსწორებულიყავით ადგილზე, რომ ბავშვმა ტაში-ტაშს შემოჰკრა, ზეზე წამოხტა და ალტაცებით და სიცილით შესძახა:

— ჰე, ჰეი, შეხედეთ, შეხედეთ რამდენი ტივია: მეტივეები როგორ დასველებულან... ჰა-ჰა-ჰა, ერთზე რამდენი ხალხია... მღერიან... მღერიან, შენი გულისა!..

ყველამ მივიხედეთ იქითკენ. ახალგაზრდამაც გამოაჭყიტა ცალი თვალი და წამოიწია, მაგრამ შეხვეულ თვალიდან ჩამოძვრა მოსახვევი მან დაიკვნესა. ყველამ სწრაფად ახალგაზრდას მივაპყარით თვალი. ბავშვმა მხოლოდ ახლა შეამჩნია დალურჯებული სახე. ერთ წუთს თანაგრძნობა და სიბრალული გამოეხატა ცოცხალ მოძრავ სახეზე და მაშინვე, თითქოს ყველაფერი გადაავიწყდაო, სწრაფად აიღო შესახვევი და მზრუნველობით ჰკითხა:

— ძია-ჯან, მატარებლიდან ხომ არ გადმოვარდნილხარ?

— ნეტავი, შენი ღვთის მადლით, მატარებლიდან გადმოვარდნილიყო,—სთქვა დედაკაცმა მოთქმით.

— შვილია შენი, დიდედო?.. მა რა მოუვიდა, რამ დაუშავა ასე ძალიან თვალი... სახეც... მოიტა აქეთ, მე შეუკრავ... ნუ გეშინან, არ ვატკენ... ხომ არ გტკენია, ძია?.. არა?.. აი, ახლა კარგად შევკარი!—გლეხმა ამოიკვნესა და მიეყრდნოხეს.—მატარებლიდან არ გადმოვარდნილა? მაშ რა მოუვიდა აა?..—განაგრძობდა ბავშვი კითხვას გულმტკივნეულად.

— რა მოუვიდა და ღმერთმა ნუ იცის ჩვენი მაზრის უფროსის თავი და ტანი! გაუქრეს იმას დღე, რომ ამ დღეში ჩააგდო ამოდენა ვაჟკაცი. მოჰკლავდა მეგონა, შვილო, ისე სცემა მათრახით და ტრაჟნიკებსაც აცემინა... მე კი ვიდექი და ჩემი დასაბრმავებელი თვალებით ვუცქეროდი ჩემ უბედურებას...—გააბა მოთქმა დედაკაცმა.

შეურაცხყოფილმა დამცირებულმა ახალგაზდამ მწარედ ამოიოხვრა.

— ჰაი, დედასა რომ...—წარმოსთქვა მან.—ეს კიდევ არ გვაკმარა, მაზრაშიაც დაგვიბარა და სამი დღე იქ ვეყარეთ...

ბავშვს რაღაც სლოკინი თუ ამოხვნეშა აღმოხვდა გულიდან, ერთი მიიხედ-მოიხედა, უცებ ჩაჩუმდა, გაფითრდა, ჩაჯდა თავის ადგილზე და მინდვრისაკენ დაიწყო დაღონებულ-

ლის ენერგიას მაინც სჯობნის. ზარბაზანზე ლაპარაკი კი აქ მეტია (ეს საკითხი მეტაფიზიკურია), იმიტომ რომ ვისაც ზარბაზანი მოხვედრია, ის აქ მოწმედ ველარ გამოგვადგება, ხოლო ვისაც ჯერ არ მოხვედრია, ის მაინც ვერ მიხვდება სავსებით იმის მნიშვნელობას და ძლიერებას. ყოველს შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ ზარბაზანი ბევრად სჯობია შვილდისარსაც, შუბსაც და ფარხმალსაც, რომელსაც ხმარობდნენ ქსენოფონის დროის ქართველები და დღესაც ხმარობენ ზულუსები, გოტტენტოტები და სხვა ველური კაცის-მჭამელები.

ამგვარად, დავამტკიცეთ რა თვალსაჩინო მეცნიერულის ფაქტებით ჩვენი მეზობლების კულტურული უპირატესობა, ჩვენ შეგვიძლიან თამამად კერძოდ ჩვენს სამშობლოს მივუბრუნდეთ. შევეხოთ საქმის ვითარებას რაც შეიძლება ღრმად და ფილოსოფიურად. ყოველი თანამედროვე ერი განიყოფება ორ, ბანაკად: ერთს ბანაკში არიან მყვლეფავნი, მეორეში — გაყვლეფილნი. მყვლეფავებს, ე. ი. ნაციონალისტების, შოვინისტების და სხვა კაციჭამიების ბუნება ისეთია, რომ ისინი ჰყვლეფავენ და თან მუდამ სტირიან, მოსთქვამენ და წუწუნებენ (აშკარა თვალთ-მაქცობაა!); გაყვლეფილნი კი, პირიქით, იყვლიფებიან, მაგრამ თავს ლაღად და არხეინად ჰგრძნობენ (ასეთია ცხოვრების დიალექტიკა!).

ჩვენა ვართ ეთი გაყვლეფილი და ქეუა-მხიარული, ე. ი. თანამედროვე par exellence! ჩვენა გვძულს კაცი-ჭამიობა: ჩვენ ღვთის ბატკნები ვართ, განმზადებულნი ზვარაკად შევეწიროთ სხვის კეთილდღეობას. ჩვენ ბედნიერნი ვართ, როცა გაზაფხულზე პირწმინდად გაგვკრეჭავენ ხოლმე (ჩვენში ცხელი ზაფხული იცის!) ან დუმას მოგვათლიან ჩაზამთრებისას: მით უფრო თავისუფლად შეგვიძლიან კუნტრუში.

კეთილისმყოფელნი გვეუბნებიან (ჩვენ ამ წუთი-სოფელში ბევრი კეთილის-მყოფელი გვყავს!) — ამ პიროებში მოისპობითო. ასეთი პესიმიზმი გადაგვარების ნიშანია. ერთი რომ ჩვენ მოვისპობით თუ არა, ეს არსებითად საქმისთვის სულ ერთია; ჩვენ წავალთ, ჩვენს ადგილზე სხვები მოვლენ („ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მიმდინარეობსო“, სთქვა უკვე ბერძენმა ჰერაკლეიტოსმა); მეორე კიდევ: მოსპობაზე მეცნიერულად მსჯელობა შეგვიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მოვისპობით, ე. ი. როცა მოსპობის ფაქტი ხელთ გვექნება: იქამდის კი ეს საკითხი მეტაფიზიკურია და, მაშასადამე, მასზე ლაპარაკი ჰაერში ფრენა იქმნება. და ჰაერში ფრენა — კი ფრანგების და გერმანელების საქმეა და არა ჩვენი (აბა სად გაგონილა, რომ ბატკნები ჰაერში ფრინავდნენ.)

უარვყოთ კიდევ ერთი და უკანასკნელი ბურჟუაზიული ცრუ-მორწმუნება. ვიღაცას უთქვამს, ეროვნული კაპიტალია საჭიროვო. სადაა ამ დაუჯერებელ ჭორის თავი? კაუცკის წიგნაკშია ამ ჭორის თავი. ყოვლად შეუძლებელია! წამკითხველი ან ბეცია, ან ბრმა, ან შერყეული, გიჟი, შფოთიანი, შლეგი და გადარეული (სახიფათო ამბავია, თქვენს მზეს ვფიცავ!) კაუცკი მატერიალისტია და, მაშასადამე, მეცნიერი (ყოველი მატერიალისტი არის მეცნიერი, ხოლო ყოველი მეცნიერი არის მატერიალისტი); ყოველი მატერიალისტი და მეცნიერი კი ასე მსჯელობს: ეროვნული კაპიტალი ან არსებობს, ან არ არსებობს. თუ არსებობს — მისი ნატვრა ზედ მეტია; თუ არ არსებობს — მისი ნატვრა იდეალისტობაა და ჰაერში ფრენა; ჰაერში ფრენა კი თავბრუდამხვევია და საზარალო. აქედან კი ნათლადა სჩანს, რომ ეროვნული კაპიტალი საჭირო არა ყოფილა არც მეცნიერებისა, არც ხელოვნებისა და არც პოეზიისთვის. ჰოდა, აკი ჩვენც თავისუფალნი ვართ ამ ზედმეტ ბარგისაგან.

მგონია, საკმაოდ დავამტკიცეთ, რომ ჩვენ არა გვაქვს საბუთი ჩვენს ბედს ვემდუროდეთ. **გ. ქ.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ტრამვაის საქმეები.** როგორც გავიგეთ, კვლავ მწვავდება საქმე ტფ. ტრამვაის მოხელე-მოსამსახურეთა და დირექციის შორის. მოსამსახურე-მოხელეებს ერთმევათ უფლება ნათესავებისთვის უფასო ბილეთების მიღებისა, ტანისამოსი და სხვა. დირექციამ რამდენიმე დღე მისცა მოსაფიქრებლად მოსამსახურეებს და ვინც დირექციის განკარგულებას არ დაემორჩილება, ანგარიში უნდა მოითხოვოს.

✦ **ილია ჭავჭავაძის ძეგლი.** წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ მიიღო მექანდაკის ი. ნიკოლაძისაგან სურათები ილ. ჭავჭავაძის ძეგლისა. ი. ნიკოლაძე ძეგლს დაამთავრებს მომავალ წლის 1 იანვრამდე. გამგეობამ ეხლა ნიკოლაძეს უნდა გაუგზავნოს 1500 მანეთი. ძეგლის აგებაში დახმარება წ.-კითხვის საზოგადოებას აღუთქვა სხვა და სხვა საზოგადოებამ და დაწესებულებამ. კარგი იქნება, აღნიშნული საზოგადოებანი და დაწესებულებანი აღთქმულ დახმარებას მალე გამოუგზავნიდნენ მთავარ გამგეობას, რომ მან შეასრულოს ხელშეკრულება ძეგლის აგების შესახებ.

✦ **წ.-კ. საზოგადოების სამკითხველოები.** წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღსძრა სათანადო გუბერნატორებთან, ნება მიეცეს საზოგადოებას დააარსოს საჭირო ბიბლიოთეკა სამკითხველოები: ბახვსა, მარტყოფსა, გომსა და საჯავახოში.

✦ **ახალი ქარხანა.** ბათუმში იხსნება ყუთების საწარმოებელი ახალი ქარხანა. ქარხანას მართავს ვ. კაპლანი. ამ ჟამად აგებენ ქარხნის შენობას, რომელიც ხუთ-ექვს თვის შემდეგ იქნება მზად მერე მუშაობას შეუდგებიან (ბ. ი.).

✦ **ბინები სტუდენტ-ქალებისთვის.** როგორც ვიცით, ტფილისში იხსნება უმაღლესი კურსები ქალებისათვის. სწავლა 20 სექტემბერს დაიწყება. ჩაწერილა 100 ქალზე მეტი. რადგან უმრავლესობა ტფილისის გარეშე ადგილებიდან არის და ჩამოსვლისას ოთახები დასჭირდებათ, კურსების დამაარსებელნი სთხოვენ ყველას, ვისაც გასაქირავებელი ოთახები აქვთ, ადრევე აცნობონ ეს კურსების კანცელარიას (გრიბოედოვის ქ., № 22).

✦ **ქალაქის საბჭო.** ხვალ, 7 სექტემბერს, ზაფხულის შესვენების შემდეგ, მოხდება პირველი სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი, რომელსაც განსახილველად წარედგინება 15-მდე საქმე. სხვათა შორის საბჭო განიხილავს მოხსენებას ეჩმიაძინში ტფილისის წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ.

✦ **სახალხო წარმოდგენა.** დღეს, 6 სექტემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ქართველ სექციის სცენის-მოყვარენი წარმოადგენენ შილლერის ტრაგედიას „ყაჩაღებს“.

✦ **აკაკი.** აკაკი წერეთელი ამ ჟამათ პარიზშია. მგოსანი პარიზიდან დაბრუნების დროს გაივლის იტალიაზე და სტამბოლზე და მოვა ზღვით ბათუმს.

✦ **საირნობა.** სამშაბათს, 8 სექტემბერს, მოზრდილ ქალთა კურსების სასარგებლოდ „მუზას“ ბაღსა და სინემატოგრაფში გაიმართება ორიგინალური საირნობა. იქნება სინემატოგრაფიც. საირნობის დროს ააფრენენ ჰაერში და ჩამოუშვებენ გემს გრაფის ცეპპელინისას (7 არშ. სიგრძე აქვს), ა. ა. იაროშენკოს განმარტებით. გაიმართება აგრეთვე მფრინავი ფოსტა ღია წერილების დიდ კონკურსით. ვინც მიიღებს 50, 35, 25 და 15 ღია წერილს, დასწერს საუკეთესო ლექსს და მოსწრებულ სიტყვას — საჩუქრებით დაჯილდოვებული იქნება. სულ 25 საჩუქარს დაარიგებენ. საირნობა დაიწყება შუა დღისას.

✦ **კრება.** დღეს, 6 სექტემბერს, დილის 10 საათისთვის ტფ. ბირჟის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს მოხსენებანი შემნახველ-გამსესხებელ კასსისა და სამედიატორო კამერის დაარსების შესახებ და სხვა საქმეები.

✦ **წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ სთხოვა მოსკოვის ქართულ საზოგადოების გამგეობას, იკისროს აგენტობა საზოგადოებისა, მოუშოვოს საზოგადოებას წევრები, შეჰკრიბოს საწევრო ფული და სხვა.

✦ აგვისტოს განმავლობაში ზუბალაშვილის სახალხო სამკითხველოთი უსარგებლნია 365 კაცს.

✦ 4 სექტემბერს დიტრიხის კუნძულზე მკვდარი კაცი აღმოჩნდა შეტრე ფანდიაშვილი.

✦ 4 სექტემბერს პოლიციის მე-6 ნაწილში დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული არამ გაიკაზოვი.

✦ 4 სექტემბერს მიხეილის ქუჩაზე ტფ. მეორე გილდის ვაჭრის ივანე ქამიევის სახლიდან მსახურმა ალექსანდრა მირინოვიჩმა მოიპარა 1500 მან. ნივთები და მიიმალა. პოლიციამ დააპატიმრა არამ ალბაბოვი, ძმა მირინოვიჩისა, რომელსაც აღმოაჩნდა ნაწილი მოპარულ ნივთებისა.

✦ ვაჟთა პირველ გიმნაზიაში დღეს საღამოთი მოხდა კრება მშობელთა წრისა საპედაგოგიო საბჭოში დელეგატების ასარჩევად.

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ფელეტონში („შეთანხმების იმედი“), მესამე გვერდზე, მეექვსე სვეტზე დაბეჭდილია: „ლ. დ — ლი გაბედულად ასახელებს ფედერალიზმს“. უნდა იყოს: „ლ. დ — ლი გაბედულად ასახელებს პოლიტიკურ ავტონომიას და „უსიტყვოთ“ აღიარებს ფედერალიზმს“.

## ქუთაისი

✦ **წყლის გამოყვანის საქმე.** ქუთაისში ჩამოვიდა დადიანისა და კანცელის მიერ მოსკოვიდან მოწვეული ინჟინერ-მექანიკოსი ბრომლეი, რომელსაც მინდობილი აქვს დაათვალიეროს რიონის მიმდინარეობა და უკანასკნელი სიტყვა სთქვას შესახებ იმისა, თუ რამდენად მოსახერხებელია ქუთაისის წყლისაყვანისათვის მესამე ვერსის ბოლოდან წყლის გამოყვანა. როგორც გავიგეთ, 3 სექტემბერს ინჟინერს უკვე დაუთვალიერებია ის ადგილები, საიდანაც სურთ გამოიყვანონ წყალი, და ის აზრი წარუდგენია ქალაქის გამგეობისათვის, რომ წყალი უსათუოდ მეორე ვერსის ბოლოდან უნდა იქმნას გამოყვანილი, რადგან ეს ადგილი ძლიერ მოხერხებულიაო.

✦ **ქალაქის საბჭო.** ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა საზაფხულო არდადეგების შემდეგ დანიშნულია 7 სექტემბრისათვის. ამ დღეს საბჭომ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საკითხი წყლისაყვანის გაკეთების შესახებ, ქიმიკოსის რომანოვის განცხადება ქუთაისში კერძო ქიმიურ ლაბორატორიის გახსნის შესახებ, ორპირის ქუჩის მცხოვრებთა თხოვნა იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქმნენ იმ გადასახადისაგან, რომელიც შეწერილი აქვთ 1907 წელს ხსენებულ ქუჩის გაკეთებისათვის.

✦ **თეატრი.** ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაიქირავა ძმ. ოცხელების შენობა თეატრისათვის ფოიეს გასამართავად. თეატრში წარმოდგენების მართვა (სეზონი) 20 სექტემბერს დაიწყება. ამ ჟამად ქალაქის გამგეობა თეატრს რემონტს უშვრება.

✦ **სწავლის ფული ქართულ გიმნაზიაში.** ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლის ფული ხუთ თუმნად გახადეს (აქამდე სამი თუმანი იყო წელიწადში წლიურად).

✦ **სახ. ბანკის განყოფილება.** ქალაქის მოურავმა დ. ა. ლორთქიფანიძემ დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგში ბარონ ნოლდეს და სთხოვა დახმარება დააჩქარონ ქუთაისში სახელმწიფო ბანკის განყოფილების გახსნა.

# მოწერილი ამბები

**ჭალის მთა** (შორაპნის მაზრა). მკითხველს, ეჭვი არ არის მოეხსენება, რომ შორაპნის მაზრაში, სახვერკს ზემოდ მდებარეობს ეგრედ წოდებული „ჭალის მთა“. ეს მთა მდიდარია როგორც სამკურნალო წყლებით, ისე მადნეულობით, ტყითა და საძოვრით. ბევრის აზრით ამ მთაში ნავთიც უნდა იყოს. სამკურნალო წყალი ორნაირია: გოგირდისა და რკინის. წყალი შემოწმებულია და ძვირფას თვისებისა გამოდგა. თუმცა გზები ვერ არის კარგი, მაგრამ ხალხი მაინც ბლომად მიდის ამ მთაზე სამკურნალოდ. მიდიან, უმეტესად ისეთები, რომელთაც კუჭი სტკივათ. — ძალიან ბევრი ემადლიერება ამ წყლებს და ბევრი ბრუნდება სრულიად განკურნებული. წელსაც აუარებელი ხალხი მოაწყდა, ტევა აღარსად იყო. მაგრამ წარმოუდგენელია ის უსუფთაობა, რომელსაც კაცი იქა ხედავდა.

„უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონაო“, სწორედ ისე მოუვიდა ამ მთას. ეს მთა ამ რამდენიმე წლის წინად იჯარით აიღო ინგლისელმა კაპიტალისტმა ჩემბერსმა, მაგრამ ეს ოთხი წელია, რაც ლონდონში წავიდა და დღემდის არსადა სჩანს. ამით ისარგებლა რამდენიმე კაცმა და მთელ მთას დაეპატრონა. მთანაწილე-კი რამდენიმე ასი კაცია და მათში 99 პროცენტმა არ იცის, ვის უჭირავს ან აბანო და ან საძოვრები.

წელს, ვიმეორებ, ურიცხვი ხალხი მოაწყდა ჭალის მთის აბანოს და ბევრი უბინაობის გამო ცის მიწაზე ათევდა ღამეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბინის ფულს მაინც იხდიდა. სადგომები ისეა მოწყობილი, რომ ქარი თავისუფლად დანავარდობს. წარმოუდგენელია ის თავხედობა, რომელსაც ამ აბანოს მოიჯარადრენი იჩენენ. ერთ სოფლელ კაცს თმის საკრეჭი მაშინა წაართვეს. მოიჯარადრეებმა ბაყის ფული მოსთხოვეს. დაინახავდნენ თუ არა ეს ვაჟბატონები, რომ ვინმეს აბანოზე მოჰქონდათ რამე გასასყიდად, მაშინვე წინ დახვდებოდნენ, სულ თვითონ იყიდდნენ და მერე მამასისხლად ასაღებდნენ. როდესაც ამ ვაჟბატონებმა გაიგეს, რომ აბანოზე გუბერნიის მარშალი თავ. ს. წერეთელი და ექიმი ს. ჯაფარიძე მოდიანო, დაიქირავეს კაცები, ფეხისადაგები დააწმენდინეს და იჭყურობა გააწმენდიეს, თორემ მანამდინ ნაგავი მუხლზე ეყარა და აბანოს გარშემო საძაგელი სუნი იდგა. ს. ჯაფარიძემ წინადადება მისცა ხის ნავების ნაცვლად ცინკის ნავები დაედგათ, უფრო ეთახში სიცხის საზომი დაეკიდათ, რადგან აუტანელ სიცხის გამო ხშირად გული შეუწუხებიათ, და სადგომები გაეუმჯობესებინათ. მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ვაჟბატონებს არაფრის ჯავრი არა აქვთ.

მიკვირს, რად არ მიაქცევენ მთანაწილენი ყურადღებას ამ ძვირფასს მთას. მალე მთელ მთაში ერთი ხეც აღარ იქნება, ისე უწყალოდ სჩეხავენ. მიდიხარ, მკითხველო, ამ ბუნებისაგან ყოველ მხრივ მდიდარ მთაში და გული გიკვდება, როდესაც ირგვლივ ჰხედავ ყოვლად უმიზნოდ მოჭრილსა და დასამპობად დაყრილ ხეებს! სამწუხაროა ეს მით უფრო, რომ ქართველებს ჩვეულებად გვაქვს გულცივად მოვეპყრათ ჩვენს სამშობლოში უხვად გაბნეულ სიმდიდრეს. დარწმუნებული ვარ, თუ ეს მთა ისეთსავე პირობებში დარჩა, როგორშიაც ეხლაა, იქ, სადაც თვალ-უწვდენელი და ლარივით სწორი ხეები სდგანან, მალე აღარაფერი აღარ იქნება. გულ საკლავი ის არის, რომ უმეტესი ნაწილი მოჭრილ ხეებისა იქვე ჰყრია და ლპება. ერთ კაცს ჯოხის მოჭრა უნდოდა, წავიდა, ერთი უზარმაზარი ხე წააქცია და ერთი პატარა ტოტი შეაჭრა და წაიღო, სხვა კი იქ მიატოვა დასალპობად. ასეთი მაგალითი ძლიერ ხშირია. საჭიროა დაუყონებლივ იქმნას მიღებული ზომები, თორემ მერე გვიან და იქნება! **ალ. წერეთელი.**

---

**საგარეჯო.** (გარე-კახეთი). ს. საგარეჯოს ინტელიგენცია სცდილობს თეატრისათვის როგორმე საკუთარი შენობა აგოს. სწორედ კარგი განზრახვაა. აქაური შეგნებული გლეხები თეატრს ისე უყურებენ, როგორც სკოლას, სადაც ცოდნას იძენენ. დარწმუნებული ვარ აგრეთვე, რომ თეატრის შენობის აგებას აქაური საზოგადოება სიხარულით მიეგებება და არ დაიშურებს თავის წვლილს. როცა იმართება წარმოდგენები, 50 მანეთზე ნაკლები შემოსავალი არასოდეს არ არის. აქედან აშკარაა, რომ გაღვიძებულია თეატრისადმი ინტერესი.

საერთოდ საგარეჯოს თან და თან კაუმჯობესობა ეტყობა: აქაური ბაზრის ქუჩები ფარნებით გაანათეს. აპირობენ აგრეთვე საგარეჯოში დააარსონ საკრედიტო ამხანაგობა და სავაჭრო სახლი. საზოგადოებამ უკვე აირჩია კომისია და დაავალა ადგილობრივ პირობების მიხედვით წესდების შემუშავება. კომისიაში არიან ტფ. მაზრის მთავრობის გამგე შუამავალი თავადი ბ. ვაჩნაძე, ექიმი ევანგულოვი, ბ. ბაზიეროვი, მღ. რცხილაძე და გ. გულისაშვილი.

1 მარიამობისთვეს [illegible] წმინდელმა [illegible] ხენი: [illegible] სოფლის წინამძღოლები, რომლებიც, როგორც ამბობენ, 1,000 მანეთს შემოსავალს მისცემს გიორგიწმინდის საზოგადოებას. აზრადა აქვთ ამ წისქვილების შემოსავლის ნაშთები გადასდონ სკოლის შესანახად.

ამ ზაფხულს აქაურ პოლიციაში დიდი ცვლილება მოხდა: დაითხოვეს სართიჭალის ბოქაული და საგარეჯოს მთავრობის მამასახლისი, ეძიევი, მას მიაყოლეს გიორგიწმინდის ნაცვალი ნინიკო მეკოკიშვილი: დაითხოვეს აგრეთვე ბოქაულის თანაშემწე. მთავრობის მამასახლისს და გიორგიწმინდის ნაცვალს მთავრობა აბრალებს მექრთამეობას და ხალხის ფულის გაფლანგვას. მართლაც ბევრი ცუდი საქმე ჩაიდინეს ამათ.

ხუთი წელიწადი მეტია, რაც ს. მანავის ერთკლასიან სამინისტრო სკოლის კარები გამოკეტილია. ორი მიზეზია ამისა: თურმე ნუ იტყვით, დირექცია შემოუწყრალა მასწავლებლებზე და მასწავლებელს არ უგზავნის. სკოლა მშვენიერი აგურის შენობაა; ორი ოთახი სამასწავლებლო, ერთი დიდი საკლასო ოთახი და ერთიც სამზარეულო. მეორე მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მანაველებს არ ჰყავთ გულშემატკივარი, რომელიც აუხსნის და ჩააგონებს გლეხებს სკოლის მნიშვნელობა და გაუწევს მათ ხელმძღვანელობა. **ლორეშელი კაცი.**

# სპარსეთი

**მამედ-ალი უარობს რუსეთში წამოსვლას.**

გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ თეირანიდან: შაჰად ნამყოფმა მამედ-ალიმ, როდესაც თეირან-ენზელის გზის ერთერთ სადგურზე გაჩერდა, უარი განაცხადა: ამას იქით აღარ წავალო. ხმა დადის, ნაშაჰარმა მოლაპარაკება გამართა თავის ერთგულ მომთაბარე ტომებთან და იქნება მათის ჯარით თეირანზე გაილაშქროს ტახტის დასაბრუნებლადო.

**ცრუ შაჰი.**

ვინმე აბდულ-ჰუსეინმა თავისი თავი შაჰად გამოაცხადა ლარისტანში და ხალხში გადასახადების მოგროვება დაიწყო. სპარსეთის მთავრობამ ბენდერ-აბასიდან ათასი კაცი ოთხი ზარბაზნით გაგზავნა ლურისტანში ცრუ შაჰის დასაჭერად.

**სპარსელების საჩივარი.**

ვენურ გაზ. „ნ. ფრ. პრესე“-ში დაბეჭდილია დეპეშა სპარსეთის ერთერთ პროვინციალურ ენჯუმენისა, რომელიც უჩივის რუსის ჯარის მოქმედებას სპარსეთში. დეპეშაში ნათქვამია, რომ რუსებმა სპარსელ გუბერნატორის დაუკითხავად ყაზახთა რაზმი გაგზავნეს ყარადაღში და რომ რუსის კონსული ყაზვინში სპარსეთის შინაგან საქმეებში ერევაო.

**რუსის ჯარის გაძლიერება სპარსეთის საზღვარზე**

„პეტ. დეპ. სააგენტო“ იტყობინება: კავკასიის მთავრობას ჯერ კიდევ წარსულ ზაფხულს მოუვიდა ცნობები, რომ საზღვარს ახლო სპარსელი მომთაბარე ტომები და ყაჩაღები მეტად მტრულად ეკიდებიან რუსებსაო. ამავე დროს მშვიდობიანმა მოვაჭრე სპარსელებმა შეატყობინეს საზღვრის დამცველ მოხელეებს, რომ სპარსელი რევოლიუციონერები აქეზებენ მომთაბარე სპარსელებს — რუსის მოსაზღვრე პოსტებს დაეცით, იარაღი და პატრონები წაართვით და გაძარცვეთო, ნურაფრისა გეშინიანთო, საზღვარზე ცოტა ჯარი უდგათ რუსებსო. ამის გამო განკარგულება მოახდინეს, რომ სალიანის პოლკი ასტარაში წასულიყო. მაგრამ დამამშვიდებელ ცნობების მიღების შემდეგ, მთავრობამ გააუქმა ეს განკარგულება აგვისტოს გასულს ბაქოს ბრიგადის უფროსმა შეატყობინა კავკასიის ოლქის უფროსს, რომ 1000 ალარელი (ალარი სოფელია სპარსეთის საზღვარს ახლო) რუსის პოსტზე დაცემას აპირებსო, და ჯარის მოშველება ითხოვა. ამავე დროს ბაქოს მთავრობას ადმინისტ-

---

მა ცქერა. გამაკვირვა იმისმა ჩაჩუმებამ, მაგრამ დამაინტერესა. დედაკაცმა მიამბო, თუ როგორ სცემა მარდიანიძემ იმის შვილს ლექსას. გლეხებმა მიამბეს, რა გასაჭირი ადგიათ ახლა სოფლელებს. „ტრაენიკიდან დაწყებული ყველა ჩვენი სულთა-მხუთავია, ჩვენი შემწყალე და პატრონი არავინაა ქვეყანაზე; არ ვიცით, რა მოგველის ხვალ“... — ჩიოდნენ ერთხმად ყველანი.

— ნუ თუ მარდიანიძე მართლა ასე ავი კაცია? ნუ თუ თავის ხელით სცემს ხალხს? — ვკითხე მე.

— თავის ხელით რა დაუშლის? კიდევ მადლობა ღმერთს, ცოცხალი გადაურჩა ე ბიჭი, თორემ ამას წინათ ერთს ისე სცემა, რომ ნაღვლი ჩაუქცია და ერთ თვეზე წუთი სოფელს გამოასალმა, რამდენი დაასახიჩრა, ვინ იცის... — სთქვა შავწვერა ფარაჯიანმა გლეხმა.

— ხომ არაფერი იცით იმისთანა წამალი, რომ დაუამოს? — მკითხა მოხუცმა დედაკაცმა.

— იცი, დიდედო, ძალიან კარგი წამალია ვაზელინი, მალამოა ამისთანა, — წამოსთქვა სწრაფად ბავშმა, — ჩვენ პანსიონში ერთი ბიჭი დაშავდა და იმას უსვამდნენ დალურჯებულ ადგილებზე.

— ჰაი, შენ გაგზარდა ღმერთმა, რა კეთილი ბავშვი ყოფილხარ, — უთხრა დედაკაცმა და დაუწყო გამოკითხვა, თუ სად იზრდებოდა ეს მალიმო.

— ვისი ხარ ბიჭია, შენ? — დაეკითხა მოხუცი გლეხი ბავშს და სიყვარულიანად გადაუსვა მხრებზე ხელი.

ბავშვი ერთ წუთს შეყოყმანდა, გაწითლდა და შემდეგ მკაფიოდ წარმოსთქვა:

— მე თეთიკაური ვარ.

— თეთიკაურიო?.. მაშ განისქედელი ყოფილხარ... ძალიან სოფელია განისქედე... თეთიკაურებსაც მოხუცებულებს ყველას ვიცნობდი...

ბავშვი როგორღაც შემკრთალი და ტანჯული შესცქეროდა ყველას, მაგრამ მიზეზს მხოლოდ შემდეგში მივხვდი, მაშინ კი არ ვაქცევდი ყურადღებას.

— აბა, ჩემო რძალო, — მიუბრუნდა მოხუცი გლეხი დედაკაცს — მოვახწიეთ ჩვენ გადასახვევს, ჩამოვხტეთ, — მან დაუძახა მეეტლეს გაეჩერებინა ეტლი.

ჩემი სოფლის გადასახვევიც აქ იყო და მეც ავიღე ჩემი პაწია კალათი, გამოვემშვიდობე პატარა შავთვალა ბიჭს, რომლის სახეც ვიღაცას საშინლად მაგონებდა და გავუდექი არხის პირპირ ტირიფებით დაჩრდილულ სოფლის საამურ გზას. კარგა მანძილი გავიარე და მოვიხედე უკან. მეეტლე ცხენებს წყალს ასმევდა, პატარა ბიჭს კი ჩაეწყო ორივე ხელი ჯიბეში და გასცქეროდა გლეხებს, რომელნიც უკვე შესდგომოდნენ თავის სოფლის აღმართს. მთელი იმისი პატარა ფიგურა როგორღაც დაღონებული მომეჩვენა. „რა კარგი ბავშვია“, — გავიფიქრე გუნებაში. **ნინო ნაკაშიძე.**

(დასასრული იქნება)

რაცაისგანაც მოუვიდა საშიში ცნობები. ამის გამო ოლქის ჯარის დროებით უფროსმა უბძანა სალიანის პოლკის უფროსს, რომ მან საზღვარზე საკმაო ჯარი გაგზავნოს ყაჩაღების მოსაგერებლად, ხოლო ბაქოს გუბერნატორის განკარგულებაში—ყაზახები გაგზავნოს; თუ საჭირო იქნება საზღვარზე უნდა გაიგზავნოს სამურისა და დაღესტნის პოლკების ნაწილებიც („გ.“)

# ოსმალეთის ამბები

**ოსმალეთის ერებს ავტონომია მიეცემათ.**

სალონიკიდან ატყობინებენ „კასპი“-ს: „ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა პირობა მისცა „დაშნაკციუთუნის“ პარტიას, რომ არაბეთს, ალბანიას, მაკედონიას და სომხეთს ავტონომია მიეცემათო. შესაფერი კანონ-პროექტი შემოდგომაზე წარედგინება დეპუტატთა პალატას.

**ოსმალეთის დესპანები.**

მალე ლივადიაში რუსთ-ხელმწიფესთან მოვლენ ოსმალეთის საგანგებო დესპანები: გარეშე საქმეთა მინისტრი რიფაატ-ფაშა, სამხედრო მინისტრად ნამყოფი ნიზამ-ფაშა და ერთი მდივანი.

ამბობენ, ლივადიაში ოსმალეთის დესპანებსა და რუსეთის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკება გაიმართება ბევრს მნიშვნელოვან საგანზე, მაგალითად, დარდანელის სრუტის გახსნაზე, კაპიტულიაციების გაუქმებაზე და სხვა. უცხოეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბოლოს დროს რუსეთი ძლიერა ცდილობს ოსმალეთთან დამეგობრებას.

**დარდანელის საქმე.**

ოსმალური პრესა გულმოდგინედ განაგრძობს დარდანელის სრუტის საქმეზე წერას, „საბახ“-ი ამტკიცებს, ამ საგანზე მოლაპარაკება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ოსმალეთის ფლოტი ერთ-ერთ საშუალო ძლიერების სახელმწიფოს ფლოტს მაინც გაუსწორდებაო. გაზეთი უარჰყოფს ევროპის სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევის საჭიროებას და ამტკიცებს, რომ კაპიტულიაციის გაუქმება აუცილებელია ოსმალეთის შინაგან განვითარებისა და კონსტიტუციის დაწესების გამოისობით, და არა როგორც ჯილდო დარდანელის სრუტის გახსნისთვისო. ამას გარდა, რუსეთმა უნდა უარი განაცხადოს იმ პირობაზე, რომლითაც მას აბდულ-ჰამიდის დროს უფლება აქვს მიცემული რკინის გზის გაყვანისა შავი ზღვიდან არზრუმზე რუსეთის საზღვრამდე. ამით რუსეთი უცილობლად დაამტკიცებდა თავის მეგობრობას ახალგაზდა, აღორძინებულ ოსმალეთისადმი“.

**ადანის საქმე.**

შეასრულეს ადანის სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც 5 სომეხს სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ამ განაჩენის თაობაზე, როგორც ვიცით, სომხის პატრიარქმა მაშინვე პროტესტი განაცხადა და მისი გაუქმება მოითხოვა.. მთავრობამ გამოაცხადა, სამხედრო სასამართლოს განაჩენის გაუქმება შეუძლებელია, ხოლო სომხის პატრიარქი დაკმაყოფილებულ იქნება იმ მხრივ, რომ სამართალში მიიცემიან ის მეთაურნი ადანის ხოცვა-ჟლეტისა, რომლებიც ჯერ არ არიან მიცემულნი პასუხის გებაშიო.

ადანაში რამდენიმე ასი სომეხი გაანთავისუფლეს საპატიმროდან.

**არეულობა ალბანიაში.**

ოსმალოს ჯარის უფროსი ჯევად-ფაშა ერთის ბატალიონითა და რამდენიმე ზარბაზნით მიტროვიციდან პრიზრენში წავიდა,—რადგან იქაურ ჯარს საქმე გაუჭირვეს ალბანელებმა. აჯანყებული ალბანელები მოითხოვენ შარიატისა და სულთნის თვითმპყრობელობის აღდგენას. მათ ისევ ზოგიერთი დაინტერესებული პირი აქეზებს.

ჯევად-ფაშამ გაიგო, რომ ძველის წესების მომხრე ალბანელები პრიზრენისკენ გაემართნენ მომხრეების საშოვნელადო და თითონაც საჩქაროდ იქითკენ გაემართა. ალბანელებმა გზაშიაც და პრიზრენს ახლოც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ჯევად-ფაშამ ძლიერი იერიში მიიტანა მათზე, დაამარცხა და თან დაედევნა. ჯარმა გზაშიაც ბევრი აჯანყებული დაატყვევა.

ჯევად-ფაშამ გამოაცხადა, რომ მიტროვიცაში მხოლოდ იმის შემდეგ დავბრუნდები, როდესაც ალბანიაში ყოველ წინააღმდეგობას დავთრგუნავ და სრულს წესიერებას აღვადგენო. ოსმალეთის მთავრობაც სრულიად ეთანხმება გენერლის პროგრამას.

**აჯანყება იემენში.**

აჯანყება იემენში (არაბეთში) ჯერ არ გათავებულა. მთავრობა ახალ ახალ ჯარსა ჰგზავნის იქა. ამ დღეებში რამდენიმე კრეისერიც გაგზავნეს იქითკენ.

# საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

როგორც ვიცით, შვეციაში მუშათა კომიტეტის განკარგულებით ბევრმა მუშამ დაიწყო მუშაობა, და გაფიცვას განაგძობენ მხოლოდ ის მუშები, რომლებიც მუშაობენ მრეწველთა კავშირის ქარხნებში. ამის თაობაზე შვეციელ მუშათა მეთაურმა ბრანტინგმა ბერლინში, სადაც იმყოფება ამჟამად, სიტყვა წარმოსთქვა სახალხო კრების წინაშე.

ორატორმა ჯერ მადლობა გადაუხადა გერმანელ მუშებს უხვის დახმარებისათვის და მერე აღნიშნა, რომ შვეციის საყოველთაო გაფიცვის მიზანს არაფერი საერთო არა აქვს ანარქისტებისა და ანარქო-სოციალისტების მიზანთან. შვეციელ მუშებს როდი უნდოდათ ბურჟუაზიულ წეს-წყობილების მოსპობა, ისინი მხოლოდ მუშების კავშირის უფლებას იცავდნენ მრეწველთა იერიშისაგან. ასეთ თავის დაცვის უფლებას სატარიფო-ხელშეკრულობითაც ვერ შეზღუდავენ. მუშებისთვის სასარგებლო არ იქნებოდა, რომ ამ ბრძოლის დროს ბურჟუაზიის ყველა წრეები აემხედრებინათ თავიანთ წინააღმდეგ. ამ მოსაზრებით, შვეციის პროლეტარიატმა შეამოკლა გაფიცვა და მხოლოდ მრეწველთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას დასჯერდა, ხოლო ამ ფარგალში ბრძოლას მუშები უფრო მედგრად და გამწევეებით განაგრძობენ.

# რუსეთი

**◆ მიტროპოლიტი ანტონი.** პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის არ მიუღია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ დეპუტაცია. დეპუტაციას აზრად ჰქონდა მიტროპოლიტისთვის ეთხოვნა დახმარებოდა მას დუბროვინი ფინლიანდიის სასამართლოსთვის არ გადაეცათ.

დუბროვინს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოში წერილი გაუგზავნია. დუბროვინი საბჭოს ატყობინებს, ფინლიანდიის სასამართლოში არ გამოვცხადდები, დამპირდნენ ხელს ვერავინ გახლებსო. საინტერესოა ვინ დაჰპირდა ამას დუბროვინს, როდესაც მთავრობამ უკვე გამოაცხადა დუბროვინი უნდა გამოცხადდესო.

**◆ ახალი გადასახადი.** ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის დირექტორს პრემიერ-მინისტრ სტოლიპინისთვის მოხსენება გაუგზავნია. ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის დირექტორი თავის მოხსენებაში სტოლიპინს ურჩევს ახალი გადასახადი შემოიღეთო. გადასახადი დაედებათ იმ პირთ, რომლებიაც სამხედრო ბეგარისაგან გაანთავისუფლებენ. ესენი ხუთ კატეგორიად უნდა გაიყვნენ. იმის და მიხედვით თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნის სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებული, შესაფერ ხარჯსაც გაიღებს. გადასახადი უნდა იხადონ სამი წლის განმავლობაში, 40—5000 მანეთამდე წელიწადში. ხმა დადის, რომ სტოლიპინი მომხრეა ასეთი გადასახადისაო.

**◆ თამბაქოს მონოპოლია.** „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ფინანსთა სამინისტროში ახალ კანონ-პროექტს იმუშავებენ. კანონ-პროექტით რუსეთში შემოღებულ უნდა იქმნეს თამბაქოს მონოპოლია.

**◆ სად არის აზეფი?** „რუსკ. სლოვ.“ პარიზელ კორესპონდენტს ულაპარაკნია „ბილოეს“ რედაქტორ ბურცევთან. ბურცევს კორესპონდენტისთვის, სხვათა შორის, უთქვამს, სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ აზეფი ამ ჟამად პეტერბურგშია და საპასუხისმგებლო ადგილი უჭირავსო.

**◆ ლ. ნ. ტოლსტოი.** ამ წლის 28 აგვისტოს ლ. ნ. ტოლსტოი 81 წლისა შესრულდა. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ამ დღეს იასნაია პოლიანაში (ტოლსტოი სცხოვრობს აქ) რამდენიმე კაცს მოუყრია თავი და უდღესასწაულნიათ ტოლსტოის დაბადების დღე.

**◆ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.** ამ დღეებში ცნობა გვქონდა რომ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სრულ რეორგანიზაციას მოახდენენო. ეს ხმა ტყუილი გამოდგა. როგორც „ვეჩერი“ იტყობინება, რადგანაც სააგენტო ზარალობს, ამიტომ დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტებს ჯამაგირებს მოუკლებენ.

**◆ ოდესის ადმინისტრაცია.** „რეჩ“-ს ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ: ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა პოლიციური ცნობები მარტო „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ორგანოს „რუსკაია რეჩს“ და „ოდესსკაია მისლ“-ს მიეცითო.

**◆ არჩევნები ოდესაში.** ოდესამ განსვენებულ პერგამენტის მაგიერ, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი უნდა აირჩიოს. პროგრესისტებმა უკვე წამოაყენეს თავიანთი კანდიდატი—ნაფიცი ვექილი ბროდსკი. ოდესის გრადონაჩალნიკს „ცნობილ“ ტოლმაჩევს თავისთან დაუბარებია ადგილობრივ გაზეთების რედაქტორები და გამოუცხადებია, ჭრამც და არამც გაზეთებში არაფერი არ დასწეროთ ბროდსკის შესახებო. რათქმა უნდა, ტოლმარჩევი გაზეთებს ბროდსკის შესახებ კარგი რამის წერას უკრძალავს, ბროდსკის ლანძღვა კი ნებადართულია. ამასთან ტოლმაჩევი რედაქტორებს დაჰმუქრებია, თუ ჩემი ბრძანება არ აასრულეთ გაზეთებს დავკეტავო.

**◆ პოლიტიკური გადასახლებულები.** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, ბევრ ალაგას ადგილობრივი ადმინისტრაცია პოლიტიკურ გადასახლებულებს ფულს აღარ აძლევს. ამის გამო პოლიტიკური გადასახლებულები ძალიან გაჭირვებაში არიან თურმე. ბევრმა აღარ იცის რა ჰქმნას, ისე არიან გაჭირვებულები. რითი ხელმძღვანელობს ადმინისტრაცია, რომ ამოდენა ხალხს ღვთის ანაბარად სტოვებს, ალაჰმა უწყის.

**◆ საერო განათლების მინისტრის ბრძანება.** საერო განათლების მინისტრს განკარგულება მოუხდენია სამინისტროს სასწავლებლების მასწავლებლებს უფლება არა აქვთ სხვა უწყების ან კერძო სასწავლებლებში ასწავლონ. თუ ამას მოისურვებენ, მაშინ ნებართვა უნდა აიღონო.

**◆ ეკონომიაც ასეთი უნდა.** როდესაც გზათა მინისტრად რუხლოვი დანიშნეს, რუხლოვმა თავის კანცელარიასთან ცალკე განყოფილება დააარსა. განყოფილების მოვალეობაა გადაიკითხოს ყველა გაზეთები და რაც კი რკინის გზებს შეეხება, ამოსჭრან და მინისტრებს წარუდგინონ. ერთი წლის განმავლობაში ამ განყოფილებას გაზეთებიდან 15 ცნობა ამოუჭრია. განყოფილებაზე წელიწადში 6,300 მანეთი იხარჯება, ამრიგად ერთი ცნობის ამოჭრა 420 მანეთი დაჯდარა.

**◆ სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, იურიევში 2, უფაში 1, მოსკოვში 1, რეველში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: პეტერბურგში 1, ხარკოვში 8, ველსკში 1, სამარაში 2, ვლადიმირში 2 კაცი.


# განცხადებანი

მეორე საკომერციო

## სასწავლებელი

მიიღებიან 4 კლასიან სამოქალაქო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი უეგზამენოდ მეოთხე კლასში. სწავლის ფასი წელიწადში 80 მან. თხოვნები კვლავ მიიღება. დროებით ადრესი: პირველ თუმანოვის ქ. № 13. (1—443—1)

ივანე იაკობის ძე

## დოლგოლენკო

გადავიდა საცხოვრებლად ქალ. გორში, კათოლიკების ქუჩაზე, სახლი ფანიევისა, თათრის სემინარიის გვერდით. კისრულობს სამოქალაქო, სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს. (3—441—1)

## იყიდება

ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან, ვერაზე, ვაკეში: 1 ზომით 360 ოთხ-კუთხი საჟ. 2. 436 ოთხ-კუთხი საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით, 10 ს.-დე და საღამოთი 4—7 ს.-ზე. (440 1—1)

ფეოდოსიევსკის ქუჩაზე (ყოფილი „კალიური ბალკა“), ფოსტის პირდაპირ, შეკეთების შემდეგ კვლავ

გ ა ი ხ ს ნ ა

## რუსული აბანო.

ა ბ ა ნ ო ს თ ა ნ

შარკოს „დუშები“.

არიან მექისეები.

**ნომრები ყოველ-გვარ მოწყობილებით.**

ო რ თ ქ ლ ი თ.

ორშ., სამშ. და პარასკ. ქალებისათვის ხოლო დანარჩენ დღეებში კაცებისათვის.,

**აბანო ღიაა ყოველ დღე**

დილის 5-დან ღამის 11 ს.-დე. ყურადღება მიაქციეთ სახლის თავზე დროშას—ამით გაიგებთ აბანოს გახსნას. (1017 3—1)

ახლად გაიხსნა საწყობი

## „გ უ რ ი ა“

გურულ ნაწარმოებისა. იყიდება: ღომი, ფქვილი (სიმინდისა), ყველი-სულგუნი (გადაზელილი), თხილი და სხვა. ადრესი: სალდათის ბაზარი, ყოფილ სემინარიის გვერდით, № 6. (4—434—3)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. აკნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—166)

## მუქთად საკოსტიუმო

საქონლისთვის ვგზავნი საქონლის ნიმუშების კოლექციას და პრეის-კურანტს. შეიცავს 60 გვ. დასურათებულია უკანასკნელ მოდებზე შეკერილ ტანისამ., კაცისა, ქალისა და ბავშვისა, ს მხედრო და სალდათებისა, საცვალი ფეხსაცმელი, შინაური საქონელი, გაგზავნის შეღავათიან პირობით, **უფასოდ.** ამ ადრესით: М. А. Бабушкинъ, Лодзь. N 52. წერილები რუსულად ან გერმანულად უნდა მოიწეროს. (Мецль и Ко. N 48329) (3—6.—2)

ვაჭრობისა და მრეწვ. სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუხჰალტრო კურსები

## ნ. ვ. აბრაამიანისა.

ტფილისი, ნიკოლოზის ქ., 22, საკ. სახლი, ტელეფონი N 744.

კურსები „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს“ ავტორისაა. ეს სახელ. მოწონ. საკომერც. სასწავლებლისთვის ფინან. სამინისტროსაგან.

კურსები ორივე სქესისთვისაა. სწავლის ვადა 4 თვე. ასწავლიან **უცხო** ენებს და სტენოგრაფიას. სწავლა დაიწყება 15 სექტ. 1909 წ. და იქნება ყოველ დღე. პროგრამები და წესები უსასყიდლოდ იგზავნება. მიღება ყოველ დღე 15 აგვისტოდან.

კურსებთან სუსტად მომზადებულთათვის არსებობს მოსამზ. კურსები. ვინც ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოს გაიწერს ავტორისაგან, გასაგზავნ ფასს არ გადაიხდის. წიგნი ღირს 3 მ. 50 კ. (0—ხალ.—12)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი

## საკომერციო ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფ ი ლ ო ი ა ნ ი ს ა.

ტფილისი, მიხეილია პროსპექტი, № 24/4.

ასწავლიან სპეციალურ საკომერციო საგნებს როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. კურსის დამთავრების შემდეგ ეძლევათ ატესტატები. ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰჰალტერიას მარტივს, იტალიანურს, გერმანულს, ამერიკულს, ბანკისა და ფაბრიკა-ქარხნისა; 2) კომერციულ ანგარიშს; 3) პოლიტიკურ ეკონომიას; 4) კანონების ცოდნას (სავაჭრო კანონებს, ვექსილების წესდებას; 5) კომერციულ მიწერ-მოწერას; 6) ანგარიშს «სჩოტებზე»; 7) კარგად წერას, სწრაფ წერას (ცუდი ხელის გასწორება); 8) სტენოგრაფიასა და 9) დაქტილოგრაფიას.

**სწავლის ფასი 60 მანეთია წელიწადში.**

**უცხო ენები.** საგნებს ასწავლიან დასავლეთ-ევროპის საკომერციო აკადემიების პროგრამით. კურსების ლექტორებად გამოცდილი სპეციალისტები და უმაღლეს სწავლა მიღებულნი არიან. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვეს. თხოვნები მიიღება 1 სექტემბრიდან დილის 10—12 ს. და 4—7 საათამდის. პროგრამები და წესდება უფასოდ ეგზავნება და ეძლევა ყველას კურსების ბინაზე.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—10)

**ი. ახობაძე—ნეკრასოვის ქ. № 14, ვორონცოვის ძეგლის ახლო.**

## ავადმყოფებს და სუსტებს

**სპერმატინი** თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით: არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, ამდრებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შემლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ მეფეგია ბროუნ-სეკარის მეხანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლ ნაკლებობას, ძალის ხისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას. სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ზურგის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**თითო შუშის ფასი 2 მან. 40 კაპ.**

**ალმეზა** თუ თქვენ კბილები გტკივათ და საშუალება არა გაქვთ სისტემატიურად სპეციალისტ ექიმთან იწამლოთ, ამ მეთოდებში საუკეთესო და ნამცვილი საშუალება კბილის ტკივილისაგან განთავისუფლდეთ—ბ. ალმეზას ელიქსირია—რომელიც ორ წუთში აყუჩებს კბილის ტკივილს, არჩენს ღრძილების ავადმყოფობას, აჩერებს სისხლს, ამაგრებს ღრძილებს და კბილებს და სამუდამოდ სპობს სუნს.

სანიმუშო შუშა ელექსირისა 40 კაპ., ჩვეულებრივი 1 მ. 20 კაპ.

**სიკვდილი ბაღლინჯოებს!** „კლოპოვინი“ უეცრადა სპობს ბაღლინჯოებს და მთანასახეებს. ფასი თითო შუშისა 35 კაპეიკი.

იყიდება ფირმის წარმომადგენელ ი. გ. ახობაძესთან—ტფილისი, ნეკრასოვის ქ. N 14, ვორონცოვის ძეგლთან. ქალაქ გარედ გაიგზავნება ფას დადებითაც და ღირებულების ერთი მესამედის გაგზავნითაც. აგრეთვე შეიძლება შეიძინოთ ტფილისში აფთიაქის მაღაზიებში—ზურაბოვთან, გოლოვინის პროსპექტზე და ვორონცოვის ძეგლთან. ქუთაისში—კოკოჩაშვილის აფთიაქის საქონლის საწყობში; ფოთში—საქალაქო აფთიაქში; ჭიათურაში—ჯანელიძის აფთიაქში; ბაქოში—გოცერიძესთან. (0—ხალ.—6)

## პროვოდნიკის

1897 წ. 1908 წ. 1888

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. ПРОВОДНИКЪ РИГА

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

## ამხანაგობა

რ ი გ ა შ ი

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**● იყიდება ნარდად და ცალობით: ●**

**რეზინის საეკიპაჟო შინები,**

**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),**

**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**

**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**

**„პროვოდნიკი“-ს** ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

## ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.